

თპუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №6



თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფ. კახი ყურაშვილი, 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი, 3. პროფ. მაკა სალხინაშვილი, 4. პროფ. არჩილ ლორია, 5. პროფ. ლელა ნადიბაიძე, 6. პროფ. ეკა ზარნაძე, 7. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე, 8. ასოც. პროფ. თამარ ლალიაშვილი, 9. ასოც. პროფ. უფრ. 10. მასწ. ნინო ნიყარაძე, 11. უფრ. მასწ. მაცვალა კახაძე, 12. უფრ. მასწ. ლალი გაბისონია, 13. სტუდენტი ნატა რუაძე, 14. სტუდენტი სოფიო აიდარაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი
სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი: თპუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო/საწარმოო პროფესიული პრაქტიკის დღიურისა და ანგარიშის ფორმის განხილვა (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოისმინეს: თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ თპუ სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი აერთიანებს სასწავლო/საწარმოო პროფესიული მოკლევადიანი პრაქტიკის გავლას, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 5 კრედიტი; სასწავლო/საწარმოო პროფესიული პრაქტიკა ხორციელდება სამართლის ფაკულტეტის იურიდიულ კლინიკაში ან/და უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ სამართლის დარგის შესაბამის ორგანიზაციაში. პრაქტიკის გავლის შემთხვევაში სტუდენტი აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, სადაც უნდა აისახოს, თუ როდის და როგორ ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე სამუშაო პროცესში ჩართვა. მომხსენებელმა წარმოადგინა სასწავლო/საწარმოო პროფესიული პრაქტიკის დღიურის ფორმა დანართი 1-ს სახით. კ. ყურაშვილმა, ასევე განიხილა პრაქტიკის ანგარიშის ფორმა (დანართი 2), სადაც მოცემულია პრაქტიკის ანგარიშის შედგენის ინსტრუქცია, რომელის მიხედვითაც უნდა წარმოადგინოს სტუდენტმა პრაქტიკის დამთავრების შემდეგ. პრაქტიკის ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს პრაქტიკის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით სტუდენტ-პრაქტიკანტის დახასიათება (დანართი 3), რომელიც იქნება ასევე რეკომენდაცია, რომ სტუდენტმა პრაქტიკის ანგარიში საჯაროდ დაცვას. მომხსენებელმა საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ მხარი დაუჭირონ განხილული ფორმების მოცემული სახით დანერგვას.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ლ. ნადიბაიძემ და უფრ. მასწ. მ. კახაძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. დამტკიცებულ იქნას სამართლის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო/საწარმოო პროფესიული პრაქტიკის დღიური დანართი 1-ს სახით, პრაქტიკის ანგარიშის ფორმა დანართი 2-სა და დახასიათება დანართი 3-ს სახით.
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თპუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:  კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი:  ე. ირემაძე